თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N8

ქ. თელავი 2019 წლის 18 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ქართული ოცნება - მრეწველები'' -ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ''ძლიერი სოფელი''-ს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ნაცარაშვილი, საკრებულოს წევრები: აბრამ მახარიაშვილი, ლევან მრელაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი, იურიდიული სამსახურის უფროსი ლევანი ბერძენაშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ვახტანგ გაგნიძე, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. დ. ღაღანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის საკითხს.

ვახტანგ გაგნიძემ აღნიშნა, რომ ძეგლთა დაცვის მუნიციპალურ პროგრამას ემატება ქ. თელავის ტერიტორიაზე მიწისქვეშა გვირაბების საძიებო სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტერიტორიაზე მიკვლეულია და გახსნილია ერთი გვირაბი. აგრეთვე, ქალაქის სხვადასხვა მონაკვეთებში შეინიშნება მიწის ჩაქცევები. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიქმნა კვლევევის გაგრძელების აუცილებლობა. გვირაბების საძიებო სამუშაოების საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 450 ლარი, ხოლო სამუშაოების ღირებულება 8000 ლარი.

პროგრამას ასევე ემატება ყორჩიბაშვილების ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა-თანხით 6850 ლარი. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად საჭირო თანხების გამოთავისუფლება ხდება არსებული 2 ღონისძიების გაუქმების ხარჯზე, კერძოდ უქმდება დაბახნების არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტისა (5000 ლარი) და საკონსერვაციო სამუშაოების (10 300 ლარი) შესყიდვა, რადგან დაბახნების ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოების ზედამხედველობის პროცესში გაირკვა, რომ აღმოჩენილი ნაგებობების ნაშთები, მოცულობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოითხოვს მხოლოდ დროებით გადახურვებს და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას არ წარმოადგენს-ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი -14 4000 ლარი რჩება უცვლელი.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა

კომისიის მიერ გაცემული 2019 წლის 23 მაისის N81 რეკომენდაცია, რომლის თანახმად საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის N13 დადგენილებაში განსახორციელებელია ცვლილება ,,ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 13 ივნისს ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც განხორციელდა მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის მაქსიმალური ზღვრული ოდენობის დიფერენცირება შენობა-ნაგებობების, ხაზობრივი ნაგებობებისა და ისეთი შენობა-ნაგებობების მიხედვით, რომელსაც არა აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №13 დადგენილებაში „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე